საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი
DEPARTMENT OF LICENSES AND PERTMITS
საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქუჩა; ტელ: 72 17 48, ფაქსი: 72 17 48, E-mail:ecoegz.am@caucasus.net

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
ლიცენზიებისა და ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი

ირაკლი კვაშილავა
(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის

დასკვნა პროექტზე

№ ___51 __

_01_ ____03 ____ 2006 წ.

I. საერთო მონაცემები

1. პროექტის დასახელება – შ.პ.ს „მ.ჯ.თ. ოილ კომპანის" დაქვემდებარებაში მყოფი ნავთობბაზის ტევადობით 6,5 ათასი კუბ. მ. გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროექტი
2. ინვესტორის დასახელება და მისამართი – შპს „მ.ჯ.თ. ოილ კომპანი" ქარელის რაიონი, სოფ. აგარა
3. განხორციელების ადგილი – ქარელის რ-ნი, სოფ. აგარა, თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზატკეცილის 110-ე კმ
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 11.10.05
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ -- შპს „მ.ჯ.თ. ოილ კომპანი"

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

შ.პ.ს. „მჯთ. ოილ" კომპანის მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით, სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია: შ.პ.ს „მჯთ. ოილ" კომპანი–ის დაქვემდებარებაში მყოფი ნავთობბაზის ტევადობით 6,5 ათასი კუბ. მ. გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროექტი.

ნავთობბაზა მდებარეობს ქარელის რ-ის სოფ. აგარაში, თბილისი-სენაკი-ღუნელიძის გზატკეცილის 110-ე კმ-ზე. ნავთობბაზის სარეზერვუარო პარკის საერთო ტევადობა ამჟამად შეადგენს: 6,5 ათას მ^3. ნავთობპროდუქტების წლიური ტვირთბრუნვა მიმდინარე პერიოდისთვის დაგეგმილია 30 000 მ^3 (მათ შორის სავარაუდოდ: ბენზინი 15 000 მ^3, დიზელის საწვავი 10 000 მ^3, ტექნიკური ნავთი 5000 მ^3).

ინვესტორის მიერ დაგეგმილია მოაწყოს შემდეგი საწარმოო უბნები: სარეზერვუარო პარკი, ნავთობპროდუქტების ჩამოსასხმელი მილსადენი, ტუმბოები, საწყავის გამცემი სადგური, ავტოგასამართი სადგური, ხანძარსაწინააღმდეგო ობიექტები, რკინიგზის ჩიხი, ავტოგზა, სანიაღვრე წყლების გამწმენდი ნაგებობა, ადმინისტრაციული შენობა. ამასთან უნდა განახორციელოს ტერიტორიის კეთილმოწყობის და გამწვანების სამუშაოები. აგრეთვე დაგეგმილია ნავთობგადამამუშავებელი მინი ქარხნის და თხევადი გაზის გასამართი სადგურის მშენებლობა. სარეზერვუარო პარკის ირგვლივ მოეწყობა 1მ სიმაღლის რკინაბეტონის კედელი, ავარიული დაღვრების შემთხვევაში ნავთობპროდუქტების გავრცელების ოავიდან აცილებისათვის ტერიტორიის მოწყობის ყველა სხვა ღონისძიებაც შეესაბამება საპროექტო-სამშენებლო ნორმებით გათვალისწინებულ წესებს.

წარმოების ფუნქციონირებისას, გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს სამრეწველო და სამეურნეო, აგრეთვე სანიაღვრე წყლების ჩაშვება. ობიექტის გეგმარებისას გათვლილია და მხედველობაში არის მიღებული მათი რაოდენობრივი და თვისობრივი შემადგენლობა. მოსალოდნელი ცვლილებების გათვლა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება გამორიცხავს საწარმოს ფუნქციონირებისას ზენორმატიული ჩაშვებების წარმოქმნას და გარემოს არასასურველ დატვირთვას. დაბინძურებული წყლების გასაწმენდად დაგეგმილია ორსაფეხურიანი გამწმენდის გაკეთება: I საფეხური დალექვა, II გაფილტვრა ინერტულ ფილტრებზე. ფილტრების გაჭუჭყიანებისთანავე მოხდება მათი შეცვლა, მაგრამ უცნობია მოხდება მათი რეგენერაცია თუ განათავსებენ ნარჩენების სახით დალექილ მასალასთან ერთად. გაწმენდილი წყალი განთავსდება 800 მ^3 მოცულობის ხელოვნურ ტბორში. ამდენად, დაბინძურებული წყლის გარემოში გავრცელება გამორიცხულია.

მავნე ნივთიერებათა ემისიები გაანგარიშებულია ვაფქვევის წყაროების მოხედვით. გარემოს ახალი მდგომარეობის შეფასებისათვის გაკეთებულია გათვლები და დადგენილია, რომ სანიტარულ-დამცავი ზონის საზღვართან (200მ) მათი კონცენტრაციები იქნება ზ.დ.კ-ზე ნაკლები.

III. შენიშვნები

1. დამუშავდეს და დამტკიცდეს მონიტორინგის/თვითმონიტორინგის კონკრეტული გეგმა მასზე პასუხისმგებელი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების მითითებით;
2. აუცილებელია ყოველი რეზერვუარი აღჭურვილი იყვეს სასუნთქი კლაპანებით და გაფრქვევის შესამცირებელი საშუალებებით;
3. დადგინდეს ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების კონკრეტული გეგმა;
4. გატარდეს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები;
5. დაცული იქნას სანიტარულ-დამცავი საზღვრის ზონა.

IV. დამატებითი პირობები

1. ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების მზადყოფნასთან დაკავშირებით შექმნილი მიმღები კომისიის შემადგენლობაში გათვალისწინებული იქნას საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლის მონაწილეობა;

2. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობისა და დასკვნაში მოყვანილი შენიშვნების შესრულების შესახებ, წარდგენილ იქნას ანგარიში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

V. დასკვნა

შპს „მჯთ ოილ კომპანი"-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი შ.პ.ს „მჯთ. ოილ" კომპანის დაქვემდებარებაში მყოფი ნავთობბაზის ტევადობით 6,5 ათასი კუბ. მ. გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროექტი-ს მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი შენიშვნების გათვალისწინების შემთხვევაში.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის მოქმედების ვადად განისაზღვროს 5 წელი მისი გაცემის თარიღიდან.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის
საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე: ნ. ხეცურიანი

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

№-07
23.03.2011

17.03.2011 წელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი
რესურსების მინისტრს ბატონ გიორგი ხაჩიძეს

შპს სან ოილ ჯორჯიას **"Sun Oil Georgia"** დირექტორის იანივ ადამის და
სს "ნავთობპროდუქტების
სადისტრიბუციო კორპორაციის გენერალური დირექტორის
გიორგი ასლანიკაშვილის ერთობლივი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ 2011 წლის 25 თებერვალს სს "ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-ს და შპს სან ოილ ჯორჯიას **"Sun Oil Georgia"** შორის გაფორმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების თანახმად, შპს სან ოილ ჯორჯიას **"Sun Oil Georgia"**-ს საკუთრებაში დარეგისტრირდა ნავთობბაზები მდებარე:

1. ქ. თბილისში, წყალსადენის ქ. №11, მიწის დაზუსტებული ფართი: 6785 კვ.მ, მიწის უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 01.11.04.029.046.

2. ქარელის რაიონი, დაბა აგარა, ხრეშის ქარხნის ტერიტორია, მიწის ნაკვეთი ფართით: 20 000 კვ.მ, მიწის უძრავი ქონების სარეგისტრაციო კოდი: 68.06.48.062).

3. ქ. სამტრედიაში, კაკაბაძის ქ. №10 მდებარე ნავთობბაზა (მიწის ფართი: 9905 კვ.მ, მიწის უძრავი ქონების სარეგისტრაციო ნომერისაკადასტრო კოდი: 34.08.71.020).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2011 წლის 14 მარტს, სს "ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაციაზე" გაცემული გარემოზე ზემოქმედების №000060, №000090, №000091 ნებართვები გადაფორმდეს შპს სან ოილ ჯორჯიას **"Sun Oil Georgia"** სახელზე, რაზეც ვთანხმდებით მხარეები და ვადასტურებთ ხელმოწერით.

იხილეთ დანართი:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან 3 (სამი) ცალი;
2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან 2(ორი) ცალი;
3. ნებართვები 3(სამი) ცალი;
4. მინისტრიეს ბრძანებები 3 (სამი) ცალი.
5. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება.

შპს სან ოილ ჯორჯიას **"Sun Oil Georgia"** დირექტორი იანივ ადამი

SUN OIL GEORGIA
404391135
შპს სან ოილ ჯორჯია Sun Oil Georgia LTD

სს "ნავთობპროდუქტების
სადისტრიბუციო კორპორაციის გენერალური დირექტორი
გიორგი ასლანიკაშვილი

JSC "OIL PRODUCTS DISTRIBUTION CORPORATION" "ნავთობპროდუქტების საჯარო სააქციო საზოგადოება" 202272445

საქართველოს
გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
№ 20
"21" 03 2011 წ.

საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №ი-12

ქ. თბილისი "29" 03 2011წ.

ს.ს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შ.პ.ს სან ოილ ჯორჯია "Sun Oil Georgia"-ზე გადაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ე" ქვეპუნქტისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის" შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის საფუძველზე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადებით მომართეს ს.ს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-მ რომელმაც ითხოვა მასზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის №000091 შ.პ.ს სან ოილ ჯოჯია "**Sun Oil Georgia**"-ზე გადაცემა და შ.პ.ს. სან ოილ ჯორჯია "**Sun Oil Georgia**"-მ რომელმაც ითხოვა ამ ნებართვის მიღება

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ს.ს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-ზე გაცემული №000091 გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცეს შ.პ.ს სან ოილ ჯორჯია "**Sun Oil Georgia**"-ს.
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის 2006 წლის 1 მარტის №51 დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება.
3. დაევალოს სამინისტროს ნებართვების სამსახურს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანა და სანებართვო მოწმობის გაცემა ამ ბრძანების პირველი პუნქტის შესაბამისად.
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს ს.ს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-სა და შ.პ.ს სან ოილ ჯორჯია "**Sun Oil Georgia**"-ს.
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2011 წლის 3 მარტის №104 ბრძანება

6. დაეკვალოს ს.ს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-ს უზრუნველყოს მასზე გაცემული №000091 გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის დაბრუნება სამინისტროს ნებართვების სამსახურისათვის.
7. ბრძანება ძალაში შევიდეს ს.ს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-სა და შ.პ.ს სან ოილ ჯორჯია **"Sun Oil Georgia"**-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
8. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ს.ს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-ს და შ.პ.ს სან ოილ ჯორჯია **"Sun Oil Georgia"**-ს დირექტორების ერთობლივი განცხადება„ მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულება „ნებართვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ" და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

ეგზავნება: ნებართვების სამსახურს, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „გარემოს დაცვის ინსპექცია"-ს, ს.ს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია"-სა და შ.პ.ს სან ოილ ჯორჯია **"Sun Oil Georgia"**-ს.

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრო
კანცელარია

საქართველოს გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000099

კოდი M 01 " 29 " " 03 " 2011 წ.

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი შპს სან ოილ ჯორჯია "Sun Oil Georgia"

2. საქმიანობის მიზანი ნავთობბაზის (6,5 ათასი მ³ ტევადობის) საქმიანობა

3. განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა ქალაქ ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. აგარა. თბილისი – სენაკი – ცანდრიპის გზაჯვარედინი 110 კმ-ზე

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია შპს „ქ. ჯ. თ ოილ კომპანი"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე № 51, 01.03.2006 წ.

7. ნებართვის პირობები ნებართვა მოქმედებს დანართში მოყვანილი პირობების აუცილებელი შესრულების პირობით

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი (გვარი, სახელი, თანამდებობა)

ნებართვების სამსახურის უფროსი

ნიკოლოზ ჯაბნიანი

დამზადდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო; დამამზადებელი: შპს „კაბადონი +"
სფ-ს რეგისტრაციის N 10-2419

N 000099

Sun Petroleum Georgia LLC
Official Distributor of Gulf Oil International in Georgia
34 Chavchavadze Ave. Tbilisi 0179 Georgia
Tel: +995 322 49 64 44 Fax: +995 322 49 64 40

Gulf

სან პეტროლიუმ ჯორჯია
გალფ ოილ ინტერნაციონალ ოფიციალური
დისტრიბუტორი საქართველოში
საქართველო, თბილისი 0179, ჭავჭავაძის ქ. 34
ტელ: +995 322 49 64 44 ფაქსი: +99 322 49 64 40

1/852
11.10.13

...ემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის
...ინისტროს
...ეულადული პასუხისმგებლობის საზოგადოება
... „პეტროლიუმ ჯორჯიას“ დირექტორის
...ანივ ადამის

...ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ საკუთრებაში არის ნავთობბაზა, რომლის ფაქტიური მისამართია: ...ქალაქი ...ფუნიციპალიტეტი სოფ. აგარა, თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზატკეცილი ...თველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 29 მარტის #ი-12 ბ...ების ...ოხდა სს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია“-ზე გაცემული ...ზემოქმედების ნებართვის გადაცემა შ.პ.ს „სან ოილ ჯორჯია“-ზე (წებართვა #...011). აქვე გაცნობებთ რომ, შ.პ.ს „სან ოილ ჯორჯიას“-ს დამფუძნებელ ...რეშე კრების ოქმის #2011/03/01/ თანახმად მოხდა საფირმო სახელწ...ეგი სახელწოდებით: შ.პ.ს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“. აღნიშნული ცვლ...ება რეგ...ლია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

დღიდან ნავთობ...ის შ... „სან პეტროლიუმ ჯორჯია“-ს მიერ არ მომხდარა აღნიშნული ნავ...ბაზის ...იაში გაშვება და დღეის მდგომარეობით ნავთობბაზა არ ფუნქციონირ...

გთხოვთ მიიღ... ...ი ინფორმაცია. აგრეთვე ჩვენი კომპანიის საფირმო სახელის ცვლილ...ით შეიტანოთ შესაბამისი ცვლილება თქვენს მიერ გაცემულ #000099 ...ე ზემოქმედების ნებართვაში.

დანართი: გარე...ებართვა #000099 (ასლი) და ამონაწერი საჯარო და სამეწარმეო რეეს...

პატივისცემ...

SUN PETROLEUM GEORGIA
404391136

...ანივ ადამი

დირექტორი

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 6485
"15" 10 2013 წ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060163604767713

ბრძანება No-271

ქ. თბილისი

25 / ოქტომბერი / 2013 წ.

შპს ,,სან პეტროლიუმ ჯორჯიაზე" გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ"

,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 25–ე მუხლის მე–15 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78–ე მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გაიცეს შპს ,,სან პეტროლიუმ ჯორჯიაზე'' გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა ნავთობბაზის (6.5 ათასი m^3 ტევადობის) საქმიანობაზე.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სს ,,სან ოილ ჯორჯია Sun Oil Georgia"-ზე 2011 წლის 29 მარტს გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა №00099;
3. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის უწყებრივი სანებართვო რეგისტრაციის ჟურნალში შესაბამისი ცვლილების განხორციელება;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს ,,სან პეტროლიუმ ჯორჯიას";
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,სან პეტროლიუმ ჯორჯიას" მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქ. №7), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის თამარ შარაშიძის მოხსენებითი ბარათი; შპს ,,სან პეტროლიუმ ჯორჯიას (№ 1/842; 11.10.2013წ) წერილი.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ნ. შარაშიძე ნინო შარაშიძე

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000027

კოდი M 0 1 „25" „ოქტომბერი" 2013 წ.

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი — *შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია"*

2. საქმიანობის მიზანი — *ნავთობბაზის (6.5 ათასი მ³ ტევადობის) საქმიანობა*

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა
ქარელის მუნიციპალიტეტი სოფ აგარა თბილისი-სენაკი-ლესელიძის გზატკეცილი 110 კმ-ზე

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია — *შპს „მ.ჯ.თ ოილ კომპანი"*

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია — *გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში*

6. ნებართვის გაცემის საფუძველი — *სახ. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №51 01.03.2006*

7. ნებართვის პირობები — *ნებართვა მოქმედებს სახ. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შემთხვევაში*

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს
უფლებამოსილი წარმომადგენელი
(გვარი, სახელი, თანამდებობა) — *გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსი თამარ შარაშიძე*

ბ.ა.